ავტობიოგრაფია

მე, ტარიელ ბალაბანიშვილი დავიბადე 1987 წლის 12 ოქტომბერს ქ. თბილისში. 2005 წელს დავამთავრე დაბა ადიგენის საშუალო სკოლა. 2005-2009 წლებში ვსწავლობდი ახალციხის ინსტიტუტში იურიდიულ ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის სპეციალიზაციით და მომენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2018-2020 წლებში ვსწავლობდი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე და მომენიჭა სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2010 წლის 19 ივლისიდან 2013 წლის 07 აგვისტომდე ვმუშაობდი ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში იურიდიულ საკითხებში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე.

2012 წლის 14 მარტიდან 2023 წლის 11 ივლისამდე ვირიცხებოდი სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედ წევრთა ერთიან სიაში საერთო სპეციალიზაციით, მათ შორის 2016 წლის 01 იანვრიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში (სისხლის სამართალი) სპეციალიზებული, ხოლო 2020 წლის 07 ივლისიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში (ბავშვთა უფლებები - სამოქალაქო სამართალი) სპეციალიზებული ადვოკატის სტატუსით.

2013 წლის 12 ივლისიდან 2020 წლის 01 იანვრამდე ვმუშაობდი სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიუროში ადვოკატის პოზიციაზე სისხლის სამართლის მიმართულებით, ხოლო 2020 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 03 ოქტომბრამდე ვმუშაობდი სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ახალციხის იურიდიული დახმარების ბიუროში ადვოკატის პოზიციაზე სისხლის სამართლის მიმართულებით.

2022 წლის 03 ოქტომბრიდან 2023 წლის 11 ივლისამდე ვეწეოდი კერძო საადვოკატო საქმიანობას სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით.

2022 წლის 22 მაისს წარმატებით ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციაში.

2023 წლის 11 ივლისს ჩავირიცხე სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, რომელიც 2024 წლის 21 ივნისს დავამთავრე წარმატებით.

მყავს მეუღლე და ორი შვილი.

ტარიელ ბალაბანიშვილი

07.07.2024წ.